ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
KHARAGAULI MUNICIPALITY CITY HALL

წერილის ნომერი: **68-682335570**
თარიღი: **21/12/2023**

ადრესატი: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: 9 აპრილის ქუჩა N15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ქალბატონ მანანა ბარბაქაძეს

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წლის 01 მაისის ანგარიშთან- 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში- დაკავშირებით, გაცნობებთ შემდეგს:

ანგარიშის მიხედვით გაცემული იქნა რეკომენდაცია მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ შიდა კონტროლის სისტემების შეფასებასთან, შესაბამისი რისკების დადგენასთან და მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ 2022 წლის მაისის თვეში შემუშავებული იქნა და სათანადო წესით დამტკიცდა სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა, რომლითაც განისაზღვრა სამსახურის მიერ შესამოწმებელი ობიექტები, დადგინდა რისკები და განისაზღვრა მონიტორინგის ჩატარების თარიღები. 2022 წელს შემოწმებული იქნა შემდეგი ობიექტები: ა(ა)იპ „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრი“, ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“, ა(ა)იპ „სათნოების სახლი“,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური, სსიპ „სოფელ ბორის საჯარო სკოლა“, ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“. 2023 წელს შემუშავებული იქნა სამსახურის წლიური გეგმა, რომლის მიხედვითაც ჩატარდა შემდეგი ობიექტების შემოწმება: ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“, ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრი“, მერიის ადმინისტრაციული სამსახური, მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახური, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახური, მიმდინარეობს ა(ა)იპ „ შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“-ს შემოწმება. ჩატარდა ყველა ობიექტის მონიტორინგი, გარდა სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, რომლის მონიტორინგიც ჩატარდება ამ/წლის 20-22 დეკემბერს, ხოლო მუსიკალური სკოლის

მონიტორინგის პერიოდი გაიწერება 2024 წლის წლიურ გეგმაში, რადგან შემოწმება ჯერ ისევ მიმდინარეობს და დასრულდება მ/წლის 29 დეკემბერს. ობიექტებს ჩაუტარდა სისტემური, ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, აღმოჩენილი იქნა სისტემური ხარვეზები და გაიცა რეკომენდაციები. სამსახურის ანგარიშები აიტვირთა სახელმწიფო აუდიტის სამსხურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში და მიენიჭა სტატუსი-„შესრულებული“

ანგარიშში ერთ-ერთ ნაკლოვანებად 2.1.4 პუნქტში მითითებული იყო შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა დადგენილი ნორმის დარღვევა, რომელსაც საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტშიც. 2023 წლის მდგომარეობით ხარვეზი გასწორებულია, კერძოდ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის Nგ-69.69223555001 განკარგულებით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს მიეცა თანხმობა დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესასრულებლად შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რიცხოვნება განისაზღვრა 44 ერთეულით (განკარგულება ძალაშია 2023 წლის პირველი იანვრიდან). ფაქტობრივად კი შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა, დღეის მდგომარეობით შეადგენს 42 ერთეულს.

ერთ-ერთი რეკომენდაციაა გაცემული საწვავის ხარჯვის წესთან დაკავშირებით. საბიუჯეტო ორგანიზაციებში დანერგილი პრაქტიკით, საწვავის ათვისება და კონტროლი ხორციელდება ვიპ ბარათისა და აგაი სისტემის მეშვეობით. აგაი სისტემის შემთხვევაში, საწვავის გამოყენება ხდება მხოლოდ ავტორიზებულ ავტომანქანებზე დაწესებული ლიმიტების შესაბამისად, მაგრამ იმისათვის რომ ავტომანქანებზე არ მოხდეს ერთჯერადად ავტომანქანის ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმა, მერიამ მიიღო გადაწყვეტილება ავტომანქანებზე დამონტაჟებულ აგაი სისტემებზე და დააააწესა დღიური ლიმიტი, რითაც, მაქსიმალურად ხორციელდება კონტროლი და თავიდან იქნება აცილებული ავტომანქანის ავზის მოცულობაზე მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტი და შემცირდება არარაციონალური ხარჯვის რისკები.

<u>რეკომენდაცია გაიცა, რომ მერიამ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებთან კოორდინაციით შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთანავე, მუნიციპალიტეტების შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა გააჟარონ ღონისძიებები ზედმეტად გადახდილი თანხების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დასაბრუნებლად.</u>

<u>აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ , რომ</u> მოცემულ პერიოდში მერიას გამარტივებული შესყიდვის წესით 60 000 (სამოცი ათასი) ლარს ზემოთ შესყიდვა არ განუხორციელებია. დასკვნაში დაფიქსირებული 1 კომპანიისაგან მოხდა თანხის ბიუჯეტში დაბრუნება. მეორე კომპანიას განმეორებით გაეგზავნა წერილი თანხის დაბრუნების შესახებ, ასევე მოხდა გაფრთხილება სატელეფონო საუბრის საშუალებითაც. წლის ბოლომდე თანხის არ დაბრუნების შემთხვევაში დავა გაგრძელდება სასამართლოში.

<u>მერიას რეკომენდაცია მიეცა მჭიდროდ ითანამშრომლოს ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან და საჭიროებიდან გამომდინარე, დაგეგმოს ერთობლივი ღონისძიებები მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და ზოგადი განვითარებისათვის. აღნიშნული დაზოგავს საბიუჯეტო თანხებს . მოცემული რეკომენდაციის შესასრულებლად შემუშავებული იქნა 2024 წლის ტრენინგ - გეგმა,</u> რომლის მიხედვითაც მემორანდუმით გათვალისწინებული თანხა, თანაბრად

მოხმარდება საჭიროების მქონე საჯარო მოხელეს. მუშავდება 2024 წლის პროფესიულ საჯარო მოხელეთა განვითარების სასწავლო გეგმა და საჭიროებიდან გამომდინარე ვითანამშრომლებთ ა(ა)იპ – კავშირი საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან.

ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა წარმომადგენლობითი ხარჯების რაციონალურად ხარჯვის საკითხს. მერიის მიერ დღეისათვის დაცულია წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევის რაციონალურობა, 2020 წლის 01 ივნისის N 50 23 ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლობითი ხარჯების შემადგენლობის, დაფინანსებისა და ხარჯვის წესის დამტკიცების წესის შესახებ", შესაბამისად და ხარჯები გაწეულია ეკონომიურად და გამჭვირვალედ.

რეკომენდაცია გაიცა ასევე, საკრებულოსთან შეთანხმებით კონტროლის ისეთ მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებიც გამორიცხავს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ შეიმუშავა სადეპუტატო ხარჯების ანაზღაურების ახალი წესი, რომლის მიხედვით შეუძლებელი გახდა ხარჯების ანაზღაურება დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.მუნიციპალიტეტის საკრებულომ N 33 დადგენილებით საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობრივი პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებისათვის განსაზღვრა ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა 776 ლარის ოდენობით, რომელიც შეუმცირდება 5%-ით, თუ არ წარმოადგენს საკრებულოს სხდომებში მონაწილეობის, კომისიებში მონაწილეობის, ფრაქციებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის დადასტურებულ საოქმო ჩანაწერებს და ამომრჩევლეთან შეხვედრის დამადასტურებელ ოქმს. თუ არ იქნება არცერთი მოთხოვნა შესრულებული დეპუტატი ვერ მიიღებს შესაბამის ანაზღაურებას. საკითხის სრულყოფილად დარეგულირების მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს ცენტრალურ დონეზე საკანონმდებლო რეგულაცია.

ანგარიშში ერთ-ერთ ხარვეზად მითითებულია, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, თუ რა აქტივობები განახორციელა რაგიონალური მართვის ორგანიზაციამ და შედეგად, რა სარგებელი მიიღო მუნიციპალიტეტმა ტურიზმის და ეკონომიკური განვითარების კუთხით. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტებიდან გაწეული 17.4 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა ვერ იქნა სათანადოდ დასაბუთებული. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს, როგორც ა(ა)იპ-ის დამფუძნებელს, ვალდებულების მიუხედავად სუბიექტების საქმიანობა არ გაუკონტროლებიათ და არ შეუფასებია რამდენად ადეკვატურია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული საქმიანობა მუნიციპალიტეტების ინტერესებთან და გაწეულ ხარჯებთან.

2019 წლის 12 სექტერმბერს ა(ა)იპ ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციასა“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობის შესახებ დაიდო ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის და ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულმა ორგანიზაციამ- DMO 2019 წელს შექმნა იმერეთის კატალოგი და 2020 წელს იმერეთის გზამკვლევი, რომელშიც სრულად არის განთავსებული ინფორმაცია ხარაგაულის შესახებ. შეიქმნა ხარაგაულის საინფორმაციო ბუკლეტი ექსკლუზიური დიზაინით და რუკით. 2020 წელს შეიქმნა ინგლისურენოვანი ანიმაცია ,,როგორ ვიმოგზაუროთ ხარაგაულში. 2021 წელს პროექტ ,,შენი იმერული თავგადასავლი"-ის ფარგლებში შეიქმნა საიმიჯო-საინფორმაციო ვიდეორგოლი გადაღებული ,,ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში". შეიქმნა აგრეთვე ხარაგაულის დასურათებული ტურისტული ლოკაციის ბაზა. DMO ,,იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის მიერ დაიბეჭდა რუკები, ბროშურები, გზამკვლევები ხარაგაულის

ტურისტული მარშრუტების შესახებ. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ხარაგაულის ტურისტულ რუკაზე. ორგანიზაციის წარმომადგენლები გამოცხადდნენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზეც და დეპუტატებს წარუდგინეს ანგარიში ხარაგაულის მუნიციპალიტეტისთის გაწეული მომსახურების შესახებ.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, აუდიტის ანგარიშში დასმული რეკომენდაციები აიტვირთა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შექმნილ სახელმწიფო აუდიტის სამსხურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში და მასზე მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ გაცემული იქნა პასუხები, იმავე სისტემაში ატვირთვის გზით. აღნიშნულ ბაზაში, ყველა რეკომენდაციას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მიენიჭა სტატუსი- „შესრულებული“.

კობა ლურსმანაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი